ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების[1] შესახებ)

(სსიპ - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბადიაურის საჯარო სკოლა)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები **თავმჯდომარე:** ხათუნა ლოდია **წევრ(ებ)ი:** თინა ძულიაშვილი

[1] **შენიშვნა:** ადმინისტრაციული წარმოების მიზნებიდან და შესაბამის ბრძანებაში განსაზღვრული შემოწმების ფარგლებიდან გამომდინარე, შესაძლოა დასკვნის ფორმის ყველა ველი არ შეივსოს ან დასკვნა დაიწეროს თხრობითი სახით.

ნაწილი I. შესავალი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

☐ იმავე მუნიციპალიტეტში ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მისამართის/ფართის ცვლილება

☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☒ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბადიაურის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	238146243

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	სსიპ - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელი ბადიაური
ფაქტობრივი მისამართი	სსიპ - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელი ბადიაური
საფოსტო ინდექსი	3800
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://tinyurl.com/3nnr559s
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	badiauri@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში)	577 32 17 58

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	N1355897 16.10.2025
ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	12.11.2025 13.11.2025

VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელი ბადიაურის საჯარო სკოლაში, მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 12 და 13 ნოემბერს. ვიზიტი კონსტრუქციულად და მშვიდად წარიმართა. ექსპერტებმა განიხილეს სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია, შედგა ინტერვიუ სკოლის დირექციის, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პედაგოგებთან, მშობლებთან და მოსწავლეებთა. განხორციელდა მატერიალური ინფრასტრუქტურის, რესურსების დათვალიერება, თანამშრომელთა პირადი საქმეების და სხვა დოკუმენტაციის შესწავლა, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სკოლის პირადი გვერდის დათვალიერება.

VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა
330	224

VIII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

IX. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა დამატებითი მტკიცებულებები და შესაბამისობის გეგმა. აღნიშნული დოკემენტაციის ანალიზის საფუძველზე, ინდიკატორები N1.2.1.3, N1.2.1.4, N3.1.1.1, N3.1.2.1, N3.4.1.2, N4.1.1.1, N4.1.2.1, N4.2.1.3, N4.2.1.4, რომლებიც სკოლის არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, ექსპერტების მხრიდან შეფასდა როგორც „შესაბამისი“ .

ინდიკატორი N1.2.2.2, რომელიც სკოლის არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, ექსპერტების მხრიდან შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისი“, ვინაიდან, სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგინდა, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს ცვლილებებს შესაბამისობის გეგმაში მითითებული ვადების (არაუმეტეს 12 თვე) მიხედვით.

ინდიკატორები N1.2.1.1, N3.1.2.3, N3.1.2.4, N3.4.1.1, N3.5.1.4, N3.6.2.1, N3.6.3.5, N 4.1.1.2 შეფასდა როგორც „არ შეესაბამება“, ვინაიდან:

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლას არ წარმოუდგენია მტკიცებულება (კორექტირებული მეთოდოლოგიური დოკუმენტი), რაც დაადასტურებდა N1.2.1.1 ინდიკატორთან შესაბამისობას. შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადები, შესაბამისობის გეგმაში განსაზღვრული არ არის.

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლას არ წარმოუდგენია მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა N3.1.2.3 ინდიკატორთან შესაბამისობას - რომ სკოლაში პერსონალის შერჩევა ხორციელდება დადგენილი წესის შესაბამისად. შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადები, შესაბამისობის გეგმაში განსაზღვრული არ არის.

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების (დარაჯები, დამლაგებლები) პირადი საქმეები. სკოლის დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრელი დოკუმენტის თანახმად, სკოლის დარაჯი შეიძლება იყოს პირი, რომელსაც აქვს მინიმუმ საშუალო განათლება, ხოლო დამლაგებლის პოზიციაზე შეიძლება დასაქმდეს პირი, რომელსაც აქვს საბაზო ან საშუალო განათლება. შესაბამისი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტები სკოლას სრულყოფილად არ წარმოუდგენია. (წარმოდგენილია მხოლოდ ერთი დარაჯის სრული ზოგადი განათლების ატესტატი). ამიტომ, N3.1.2.4 ინდიკატორთან შესაბამისობა ვერ დასტურდება. შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადები, შესაბამისობის გეგმაში განსაზღვრული არ არის.

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლას არ წარმოუდგენია მტკიცებულება (სპორტული დარბაზის იჯარით ან სხვა სამართლებრივი ფორმით გადაცემის დამადასტურებელი დოკუმენტაცია). ამიტომ, N3.4.1.1 ინდიკატორთან შესაბამისობა ვერ დასტურდება. შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადები, შესაბამისობის გეგმაში განსაზღვრული არ არის.

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლას არ წარმოდუგენია მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა, რომ მიმდინარეობს ვიდეოსათვალთვალო სისტემით მიღებული ინფორმაციის უწყვეტი და სრულყოფილი მონიტორინგი. ამიტომ, N3.4.1.1 ინდიკატორთან შესაბამისობა ვერ დასტურდება. შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადები, შესაბამისობის გეგმაში განსაზღვრული არ არის.

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლას არ წარმოდუგენია მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა, რომ უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე მდებარე ძველი საპირფარეშოს შენობის დაცვას გარეშე პირებისგან. სკოლამ წარმოადგინა ადგილობრივ მუნიციპალიტეტში

გაგზავნილი წერილი, რომლითაც ითხოვს საპირფარეშოს რეაბილიტაციას. საპირფარეშოს ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, უცხო პირებისათვის დაშვების შეზღუდვის შესაბამისი მექანიზმების გარეშე, ვერ უზრუნველყოფს მოსწავლეთა უსაფრთხოების მიმართულებით არსებული პოტენციური რისკების შემცირებას. ამიტომ, N3.4.1.1 ინდიკატორთან შესაბამისობა ვერ დასტურდება. შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადები, შესაბამისობის გეგმაში განსაზღვრული არ არის.

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად, უზრუნველყოფს ШШ პირთათვის სკოლის შენობის მეორე და მესამე სართულებზე გადაადგილების შესაძლებლობას. შესაბამისობის უზრუნველყოფის საწყის ვადად განსაზღვრულია 13.11.2025. თუმცა, არ არის მითითებული დასრულების ვადა. შესაბამისად, N3.5.1.4 ინდიკატორის მეტწილი ან ნაწილობივი შესაბამისობის შეფასების საფუძველი არ არის.

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად სკოლამ უზრუნველყო ცვლილება საქმისწარმოების წესში და მტკიცებულებად გამოიგზავნა ბრძანება N2-80. თუმცა, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზით იკვეთება, რომ სკოლის დირექტორის 2025 წლის 25 ნოემბრის N2-8- ბრძანებით დამტკიცებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა. საქმისწარმოების კორექტირებული წესი წარმოდგენილი არ არის. შესაბამისად, ინდიკატორი N3.6.2.1 დაკმაყოფილებული არ არის.

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად უზრუნველყოფილია N3.6.3.5 ინდიკატორის შესაბამისობა. თუმცა, სკოლის ვებ გვერდის დათვალიერებით გამოიკვეთა, რომ ვებ გვერდზე არ არის განთავსებული ინფორმაცია პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურების თაობაზე. ხოლო მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისების ბმულზე ატვირთულია დოკუმენტი, რომელიც არ შეესაბამება ბმულის დასახელებას.

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა მტკიცებულება (კორექტირებული სასკოლო სასწავლო გეგმა), რომლითაც დასტუდება, რომ უზრუნველყოფილია მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციების გამჭირვალობა. თუმცა არ დასტურდება, რომ რეგულაციები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან. შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადები, შესაბამისობის გეგმაში განსაზღვრული არ არის. შესაბამისად, ინდიკატორი N4.1.1.2 დაკმაყოფილებული არ არის.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☒ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☒ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება

	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	**☐ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☒ არ შეესაბამება**

კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	*სკოლის ფილოსოფია*	*ხარვეზი*
ინდიკატორი N1.2.1.1	*სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს*	*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 31 აგვისტოს №785 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სკოლის დირექტორსა და სამეურვეო საბჭოს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების პირობების“ შესაბამისად, სკოლის დირექტორი სამეურვეო საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს სკოლის განვითარების სტრატეგიას და სკოლის ყოველწლიურ სამოქმედო გეგმას. სკოლის მეთოდოლოგიური დოკუმენტის მე-8 თავის მე-16 მუხლის თანახმად, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები მტკიცდება სკოლის დირექტორის მიერ, რაც ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას.*
სტანდარტი N3	*სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა*	*ხარვეზი*
ინდიკატორი N3.1.2.3	*პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით*	*სკოლის მიერ წარმოდგეენილი დოკუმენტაციით ვერ დადასტურდა, რომ სკოლაში პერსონალის შერჩევა ხორციელდება დადგენილი წესის შესაბამისად.*
ინდიკატორი N3.1.2.4	*პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს*	*სკოლის მიერ წარმოდგენილი შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების (დარაჯი, დამლაგებლები) პირადი საქმეების ანალიზით, ვერ დასტურდება აღნიშნული პირების კვალიფიკაციის შესაბამისობა.*

ინდიკატორი N3.4.1.1	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)*	• *სკოლის ტერიტორიაზე მდებარეობს ძველი საპირფარეშოს შენობა, რომლის ინფრასტრუქტურა არ შეესაბამება ჰიგიენისა და უსაფრთხოების მინიმალურ სტანდარტებს. აღნიშნულ ობიექტში არ არის გამიჯნული კაბინები და არ არის უზრუნველყოფილი აუცილებელი სანიტარულ-ჰიგიენური საშუალებებით. სკოლის დირექციის ინფორმაციით, აღნიშნული საპირფარეშოთი სარგებლობენ არა მხოლოდ მოსწავლეები, არამედ გარეშე პირებიც, რაც ზრდის მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობისათვის პოტენციურ რისკს.* • *სკოლის სპორტული დარბაზი განთავსებულია სკოლის ეზოში, როგორც ცალკე ნაგებობა. სკოლის დირექტორის განცხადებით, რაც დადასტურდა მონიტორინგის დროს არსებული ფაქტობრივი გარემოებით (დარბაზში მონიტორინგის ვიზიტისას მიმდინარეობდა ვარჯიში), აღნიშნული სივრცე გამოიყენება გარეშე პირების მიერ სპორტული წრის ორგანიზების მიზნით. მიუხედავად ამისა, სკოლამ ვერ წარმოადგინა სპორტული დარბაზის იჯარით ან სხვა სამართლებრივი ფორმით გადაცემის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. შესაბამისად, სკოლის ტერიტორიაზე, მათ შორის სპორტულ დარბაზში, გადაადგილდებიან უცხო პირები, რაც რისკის ქვეშ აყენებს მოსწავლეთა უსაფრთხოებას.* • *სკოლის შიდა და გარე პერიმეტრზე არსებული კამერების გამოსახულება ისახება კომპიუტერში, რომელიც განთავსებულია დირექტორის კაბინეტში. უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირის სამუშაო სივრცე კი სხვა ოთახშია განთავსებული. ამის შედეგად, ვიდეოსათვალთვალო სისტემით მიღებული ინფორმაციის უწყვეტი და სრულყოფილი მონიტორინგი ფაქტობრივად ვერ ხორციელდება.*
ინდიკატორი N3.5.1.4	*სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს*	*არ არის უზრუნველყოფილი შშმ პირთათვის სკოლის შენობის მეორე და მესამე სართულებზე გადაადგილების შესაძლებლობა.*

ინდიკატორი N3.6.2.1	*სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი*	• *საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 22 აგვისტოს №113/ნ ბრძანებით დამტკიცებული მოსწავლის პირადი საქმის წარმოების წესის მე-2 მუხლის მე - 6 პუნქტის თანახმად, მოსწავლის პირადი საქმე სკოლაში ინახება 75 წლის განმავლობაში. სკოლის საქმისწარმოების წესის 22 - ე მუხლის 22.4 პუნქტის თანახმად, მოსწავლეთა პირადი საქმეები სკოლაში ინახება 3 წლის განმავლობაში.* • *საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 22 აგვისტოს №113/ნ ბრძანებით დამტკიცებული მოსწავლის პირადი საქმის წარმოების წესის მე-6 მუხლის 1 პუნქტის თანახმად, მოსწავლის პირადი საქმის დედნის გატანა, დასაშვებია მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით მოსწავლის მობილობისას, მიმღები სკოლიდან წერილობითი მოთხოვნის წარმოდგენის შემთხვევაში. გასაგზავნად გამზადებული მოსწავლის პირადი საქმე თავსდება კონვერტში, ფორმდება საფოსტო გზავნილად და მიმღებ სკოლას ეგზავნება დალუქულ მდგომარეობაში. დაუშვებელია, მოსწავლის პირადი საქმის მოსწავლისათვის, მოსწავლის მშობლის, მეურვის, მზრუნველის, კანონიერი წარმომადგენლისათვის ან სხვა პირისათვის გადაცემა ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევის გარდა. სკოლის საქმისწარმოების წესის სკოლის 22-ე მუხლის 22.3 პუნქტის თანახმად, მოსწავლის სკოლიდან გადასვლის შემთხვევაში, პირადი საქმე წერილობითი განცხადების საფუძველზე ეძლევა მშობელს.*
ინდიკატორი N 3.6.3.5	*ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია*	*ვებ გვერდზე არ არის განთავსებული პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები. მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისების ბმულზე ატვირთული დოკუმენტი არ შეეესაბამება ბმულის შინაარს.*

	(განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.	
სტანდარტი N4	*მოსწავლეთა მხარდაჭერა*	*ხარვეზი*
ინდიკატორი N 4.1.1.2	*მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან*	*მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გაზიარებული სასკოლო საზოგადოებასთან არ არის.*

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა)[2]

სტანდარტი N1	*სკოლის ფილოსოფია*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		
ინდიკატორი N 1.2.2.2	*მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო*	*შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადების დაცვით, სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი და შეფასება განხორციელდეს წელიწადში ორჯერ - იანვარსა და ივნისში.* ***შესრულების ვადა: 20.01.2026***

[2] გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

	საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით	
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი N3.1.2.3	*პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით*	*შესაბამისობის გეგმით განსაზღრულ ვადებში, სკოლაში დასაქმებულ პირთა პირად საქმეებში, სრულყოფილად იქნეს წარმოდგენილი ზოგადი განათლების შესახებ კანონითა და მთავრობის N463 დადგენილების შესაბამისი ცნობები. (უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობა, სავალდებულოა, მხოლოდ 2020 წლის შემდეგ დასაქმებულ პირთათვის).* ***შესრულების ვადა: 20.06.2026***
ინდიკატორი N3.1.2.4	*პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს*	*შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში, სკოლაში დასაქმდეს პედაგოგი, რომლის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას* ***შესრულების ვადა: 10.09.2026***
ინდიკატორი N3.4.1.1	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების*	*შესაბამისობის გეგით განსაზღვრულ ვადებში, სკოლამ უზრუნველყოს:* • *სასწავლო შენობასა და სპორტულ დარბაზს შორის განთავსებული ღია ლითონის ფარდულის დამოუკიდებელი ნაგებობის რეაბილიტაცია* ***შესრულების ვადა: 25.12.2026***

	მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)	• *სკოლის შიდა და გარე პერიმეტრი სრულყოფილად აღჭურვა ვიდეო სათვალთვალო კამერებით.* ***შესრულების ვადა: 25.12.2027*** • *სპორტული დარბაზის ფანჯრის მინები დაფარვა დამცავი შრით.* ***შესრულების ვადა: 25.12.2026***
სტანდარტი N4	*მოსწავლეთა მხარდაჭერა*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

V. რჩევები

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N1.1.1.1	*სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს*	*მიზანშეწონილია, ხედვის ფორმულირება მოხდეს სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად, და ასახოს სკოლის გრძელვადიანი მისწრაფებების შესაბამის მდგომარეობა დროის განსაზღვრული პერიოდისთვის.*
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N3.4.1. 1	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით*	• *მიზანშეწონილია, გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დოკუმენტში, და მანდატურის ნაცვლად, უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღროს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი.* • *მიზანშეწონილია, სკოლამ გაითვალისწინოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის კვლევით ნაწილში მითითებული შენიშვნები, რათა შენობა მოყვანილ იქნას შესაბამისობაში სეისმურ ნორმებთან.* • *სკოლაში დასაქმდეს კანონმდებლობის შესაბამისი შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი*

	დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)	
ინდიკატორი N3.5.1.1	*სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით*	*მიზანშეწონილია სპორტული დარბაზის გასახდელებისა და საშხაპეების მოწესრიგება და დანიშნულებისამებრ გამოყენება.*
ინდიკატორი N3.6.1.2	*ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად*	*მიზანშეწონილია, შემუშვდეს ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების წესი.*
სტანდარტი N4	*მოსწავლეთა მხარდაჭერა*	*რჩევა*
ინდიკატორი N4.1.1. 1	*სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა*	*მიზანშეწონილია, გასწორდეს ტექნიკური ცდომილება და სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშვებისა და დამტკიცების თარიღი განისაზღვროს ცვლილების შეტანის რეალური თარიღის შესაბამისად.*

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი *(ასეთის არსებობის შემთხვევაში) ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებიდან გამომდინარე*

სტანდარტი N1	*სკოლის ფილოსოფია*	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*	*რეკომენდაციის შესრულების სტატუსი*
ინდიკატორი 1.2.1.2.	*სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;*	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია, 2023 წლის 20 ნოემბრამდე შეიმუშავოს სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც დაეფუძნება სკოლის ფილოსოფიას, მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს.*	*რეკომენდაცია შესრულებულია*
ინდიკატორი 1.2.1.3	*სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;*	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია, 2023 წლის 30 ნოემბრამდე შეიმუშაოს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც დაეფუძნება სტრატეგიულ გემას და ყოველწლიურ თვითშეფასებას...*	*რეკომენდაცია შესრულებულია*
ინდიკატორი 1.2.1.4	*სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული*	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია, 2023 წლის 30 ნოემბრამდე შემუშავებულ სამოქმედო გეგმაში განისაზღვროს სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები,*	*რეკომენდაცია შესრულებულია*

	ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.	რეალისტური ვადები, შესაბამისი რესურსები.	
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**		
ინდიკატორი 3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, 2023 წლის 29 დეკემბრის ჩათვლით ა)მიმართოს შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს სკოლის სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. ბ)უზრუნველყოს შენობის კონსტრუქციული მდგრადობის დოკუმენტის მოპოვება	რეკომენდაცია შესრულებულია
ინდიკატორი 3.4.1.7.	სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, 2023 წლის 01 დეკემბრამდე უზრუნველყოს მრჩეველთა საბჭოს შექმნა, ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების გაუმჯობესებისათვის	რეკომენდაცია შესრულებულია

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტები)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სკოლამ წარმოგინა სკოლის მისია და ხედვა, რომელიც შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს.

ხედვა ისეა ფორმულირებული, რომ ასახავს სკოლის ამჟამინდელ მდგომარეობას - სკოლის ყველა თანამშრომელი ზრუნვას მოსწავლის სულიერ, ფიზიკურ და გონებრივ განვითარებაზე, რასაც ხელს უწყობს ხარისხიანი განათლება, მოწესრიგებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, პარტნიორული თანამშრომლობა, რათა ყველა მოსწავლემ შეძლოს ცოდნის მიღება და რეალიზება.

სკოლას მიეცა რჩევა - ხედვის ფორმულირება მოხდეს სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად, და ასახოს სკოლის გრძელვადიანი მისწრაფებების შესაბამის მდგომარეობა დროის განსაზღვრული პერიოდისთვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

მისიის თანახმად, სკოლა ორიენტირებულია სასკოლო საზოგადოების უსაფრთხო და პოზიტიური გარემოს შექმნაზე, რათა აღზარდოს განათლებული, ჯანსაღი, კრიტიკულად მოაზროვნე, ტოლერანტი, ცოდნის მიღებაზე, მეწარმოების, ციფრული წიგნიერებისა და სამოქალაქო უნარ-ჩვევების განვითარებაზე ორიენტირებული თავისუფალი მომავალი თაობა, რაც ხელს შეუწყობს თემისა და სახელმწიფოს გაძლიერებას.

ხედვა ისეა ფორმულირებული, რომ ასახავს სკოლის ამჟამინდელ მდგომარეობას. თუმცა, იკვეთება, რომ მოსწავლის განვითარებაზე ზრუნვითა და ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფის გზით, ორიენტირებულია მოსწავლის ცოდნის მიღებასა და რეალიზებაზე.

წარმოდგენილი ფილოსოფიით ჩანს, რომ სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

სკოლის დირექტორის ბრძანებით, სკოლაში შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომლის შემდგელობაში არიან დირექციის წამომადგენლები, მასწავლებლები, მშობელი და მოსწავლე. ფილოსოფიის შემუშავებას წინ უძღოდა სასკოლო საზოგადოების გამოკითხვა. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები, როგორც სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილი განიხილა სამეურვეო საბჭომ და დაამტკიცა პედაგოგიურმა საბჭომ 2023 წლის 8 სექტემბერს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსებული სკოლის ვებ გვერდზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

სკოლის სახელწოდება შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები*
- *სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე ბრძანება*
- *სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმები*
- *სამურვეო საბჭოს და პედაგოიური საბჭოს სხდომის ოქმები*

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლაში შემუშავებული და დირექტორის 2023 წლის 15 სექტემბრის N2-55 ბრძანებით დამტკიცებულია, მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, სტრატეგიული დაგეგმვა თანამონაწილეობითი პროცესია, და მიმდინარეობს სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობით. სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი იწყება ინფორმაციის შეგროვებით, ინფორმაციის მიღება ხდება სასკოლო საზოგადოების წევრებისგან.

სკოლის მეთოდოლოგიური დოკუმენტის მე-8 თავის მე-16 მუხლის თანახმად, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები მტკიცდება სკოლის დირექტორის მიერ, რაც ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 31 აგვისტოს №785 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სკოლის დირექტორსა და სამეურვეო საბჭოს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების პირობების“ შესაბამისად, სკოლის დირექტორი სამეურვეო საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს სკოლის განვითარების სტრატეგიას და სკოლის ყოველწლიური სამოქმედო გეგმას.

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლას არ წარმოუდგენია მტკიცებულება (კორექტირებული მეთოდოლოგიური დოკუმენტი), რაც დაადასტურებდა ინდიკატორთან შესაბამისობას. შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადები, შესაბამისობის გეგმაში განსაზღვრული არ არის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებული არ არის

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სკოლამ წარმოადგინა სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც გათვლილია 2023-2030 წლებზე. გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნები - მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა, საზოგადოების მართვასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები/პროცედურები და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლებაზე ზრუნვა - მასწავლებელთა პროფესიული განვითარება, მშობელთა ჩართულობა სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში, საქმიანობის მონიტორინგი და სკოლის თვითშეფასების მუდმივმოქმედი ციკლის დანერგვა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სკოლამ წარმოადგინა 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა. აღნიშნული გეგმა დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით, რაც ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 31 აგვისტოს №785 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სკოლის დირექტორსა და სამეურვეო საბჭოს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების პირობების“ შესაბამისად, სკოლის დირექტორი სამეურვეო საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს სკოლის განვითარების სტრატეგია და სკოლის ყოველწლიური სამოქმედო გეგმას.

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა მტკიცებულება (სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი, რომელიც ადასტურებს, რომ სამეურვეო საბჭომ განიხილა და დაამტკიცა 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა), რომელიც ადასტურებს, რომ იდნიკატორი დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სკოლამ წარმოადგინა ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელშიც განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები, რეალისტური ვადები. **არ არის განსაზღვრული შესრულების გაზომვადი ინდიკატორები. შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.**

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა მტკიცებულება (კორექტირებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმა), რომელიც ადასტურებს, რომ ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა*
- *ერთწლიანი სამოქმედო გეგმა*
- *მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია*

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლაში შემუშავებული და დირექტორის 2023 წლის 15 სექტემბრის N2-55 ბრძანებით, დამტკიცებულია მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია. აღნიშნული დოკუმენტით განსაზღრულია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების

მონიტორინგის მექანიზმები. სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება სტრატეგიული გეგმის მოქმედების პერიოდში ორჯერ, მისი განხორციელების შუაში და ბოლოს.

სამოქმედო გეგმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება წელიწადში ორჯერ, იანვარსა და ივნისში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სტრატეგიული განვითარების გეგმა სკოლაში დამტკიცებულია 2023 წელს. მეთოდოლოგიით გათვალისწინებული მონიტორინგისა და შეფასების ვადები ჯერ არ არის დამდგარი.

სკოლის დირექტორის, საგნობრივი კათედრების წლიური ანგარიშებისა და სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის შედეგად, განხორციელდა მონაცემების შეგროვება სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანებისა და აქტივობების შესრულების სტატუსთან დაკავშირებით. სკოლამ წარმოადგინა კითხვარები, რომელთა საშუალებითაც, 2024-2025 სასწავლო წლის ბოლოს სკოლის პერსონალის, მშობლების და მოსწავლეების გამოკითხვით, ძრითადად მიღებულ იქნა ინფორმაცია სასწავლო პროცესის მიმდინარეობის თაობაზე. წარმოდგენილია გამოკითხვის შედეგეგების ანალიზი და განხორციელებული SWOT ანალიზის შედეგები.

მეთოდოლოგიის შესაბამისად, სამოქმედო **გეგმის შესრულების მონიტორინგი და შეფასება უნდა განხორციელდეს წელიწადში ორჯერ** - იანვარსა და ივნისში. სკოლაში მონიტორინგი განხორციელებულია მხოლოდ სასწავლო წლის ბოლოს.

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად, სკოლას უზრუნველყოფს შესაბამისად, სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის და შეფასების განხორცილებას მეთოდოლოგიის შესაბამისად.

შესრულების ვადა - 20.01.2026

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია მეტწილად

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგის საჯაროობა - გეგმის განხორცილების ანგარიში განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

სკოლამ წარმოადგინა კითხვარები, რომლის საშუალებითაც, 2024-2025 სასწავლო წლის ბოლოს განხორციელდა მონაცემების შეგროვება სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანებისა და აქტივობების შესრულების სტატუსთან დაკავშირებით. წარმოდგენილია გამოკითხვის შედეგეგების ანალიზი და განხორციელებული SWOT ანალიზის შედეგები.

2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული რიგი აქტივობები, მაგალითად, კომპიტერების განახლება/შეძენა ვერ განხორცილედა, ნაწილობრივ განხორციელდა საჭირო ინვენტარის შეძენა, სასწავლო რესურსების შეძენა, წინგადი ფონდის შევსება/განახლება. აღნიშნული აქტივობები გათვალისწინებულია მიმდინარე სასწავლო წლის სამოქმედო გეგმითაც.

მოსწავლეთა გამოკითხვის შედეგად გამოიკვეთა, რომ სასკოლო გარემოში სასკოლო სპორტული აქტივობების სიმცირე მათთვის მისაღები არ არის. მიმდინარე სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებულია სპორტული ღონისძიებების ორგანიზება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სტრატეგიული გეგმის შემუშვების მეთოდოლოგია.*
- *სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა.*
- *ერთწლიანი სამოქმედო გეგმა*
- *2024-2025 სასწავლო წლების შედეგების საფუძველზე გაკეთებული SWOT ანალიზი*

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა
3.1. პერსონალის მართვა
3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სკოლაში ფუნქციონირებს შემდეგი სტრუქტურული ერთულები - დირექცია, პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინურ კომიტეტი. სკოლის დირექტორის 2025 წლის 17 ოქტომბტის N2-68 ბრძანებით, დამტკიცებულია სკოლის პერსონალის და სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებისა და მოვალეობების განსაზღვრელი დოკუმენტი. რომლის საფუძველზეც, მკაფიოდაა განსაზღვრული სკოლაში დასაქმებულ პირთა და მოქმედი სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და მოვალეობები. **თუმცა, სკოლაში, საშტატო განრიგის შესაბამისად, დასაქმებულია ცეცხლფარეში, რომლის ფუნქცია-მოვალეობები აღნიშნული დოკუმენტით, განსაზღვრული არ არის.**

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა მტკიცებულება (სკოლის პერსონალის და სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებისა და მოვალეობების განსაზღვრელი კორექტირებული დოკუმენტი), რომელიც ადასტურებს, რომ ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლამ წარმოადგინა საშტატო განრიგი და განრიგით გათვალისწინებული თანამდებობების შესაბამისი სამუშაო აღწერილობები, სადაც მკაფიოდაა აღწერილი დასაქმებული პირების ფუნქციები და სტრუქტურულ ერთეულებებს შორის, ასევე პერსონალის შემთხვევაში, არ

შეინიშნება ფუნქციათა გადაკვეთა ან ურთიერთგადაფარვა. გასაუბრებით დასტურდება, რომ დასაქმებულები აცნობიერებენ საკუთარ სამსახურეობრივ პასუხისმგებლობას. წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და სკოლის პერსონალთან გასაუბრებით იკვეთება, რომ პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სკოლის პერსონალის და სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების და მოვალეობებების დოკუმენტი*

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლაში შემუშავებული და დირექტორის 2025 წლის 17 ოქტომბრის N2-64 ბრძანებით, დამტკიცებულია, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, რაც ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას - **საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 31 აგვისტოს №785 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სკოლის დირექტორსა და სამეურვეო საბჭოს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების პირობების“ შესაბამისად, სკოლის დირექტორის სამეურვეო საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკას.**

სკოლაში დამტკიცებული პოლიტიკის მიზანია უზრუნველყოს დაწესებულების ადამიანური რესურსების მართვის პროცესების წარმართვას ეფექტიანად და კანონთან, დაწესებულების მისიასთან, ხედვასა და ღირებულებებთან შესაბამისობით. ასევე შექმნას გარემო, რომელიც უზრუნველყოფს დასაქმებული პირების შესაძლებლობების მაქსიმალურ წარმოჩენასა და რეალიზებას.

სკოლის შინაგანაწესით განისაზღვრება სამუშაოს დაწყებისა და დასრულების დრო, დასვენების ხანგრძლივობა, შვებულების მიცემის წესი. შინაგანაწესი საჯაროა და განთავსებულია სკოლის ვებ გვერდზე. შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრულია დამსაქმებლის და

დასაქმებულის პასუხისმგებლობები და მოვალეობები. შინაგანაწესი ხელშეკრულების შემადგენელი და განუყოფელი ნაწილია. ხელშეკრულების ხელმოწერით, დასაქმებული ადასტურებს შინაგანაწესის გაცნობის ფაქტს.

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა მტკიცებულება (სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი, რომელიც ადასტურებს, რომ სამეურვეო საბჭომ განიხილა და დაამტკიცა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი)

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის თანახმად, სკოლის შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველსაყოფად, სკოლა უფლებამოსილია, გამოაცხადოს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული კონკურსი იმ პოზიციაზე, რომელიც კონკურსის გამოცხადების მომენტისათვის არ არის ვაკანტური, მაგრამ არსებობს დადასტურებული საფუძველი, რომ აღნიშნული პოზიცია კონკურსის დასრულებამდე გახდება ვაკანტური.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით, განსაზღვრულია კონკურსის გამოცხადების მექანიზმი, რომელიც შესაძლებებლს ხდის პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით. თუმცა, **სკოლის მიერ წარმოდგეენილი დოკუმენტაციით ვერ დადასტურდა, რომ სკოლაში პერსონალის შერჩევა ხორციელდება დადგენილი წესის შესაბამისად. სკოლამ წარმოადგინა საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმები კონკურსის მიმდინარეობის შესახებ, თუმცა ვერ წარმოადგინა დირექტორის ბრძანებები კონკურსის გამოცხადების, საკუნკურსო კომისიის შექმნის თაობაზე. სკოლის დირქეტორის განცხადებით, სკოლამ იხელმძღვანელა გასულ წლებში გამოცემული ბრძანებებით, რომლებიც რეალურად სხვა კონკურსთან მიმართებაში გამოიცა.**

ვიზიტის დროს, შემოწმდა სკოლის პერსონალის პირადი საქმეები. სკოლაში დასაქმებულ პირთა პირად საქმეებში, სრულყოფილად არ არის წარმოდგენილი ზოგადი განათლების შესახებ კანონითა და მთავრობის N463 დადგენილების შესაბამისი ცნობები. (უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობა, სავალდებულოა, მხოლოდ 2020 წლის შემდეგ დასაქმებულ პირთათვის).

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლას არ წარმოუდგენია მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა, რომ სკოლაში პერსონალის შერჩევა ხორციელდება დადგენილი წესის შესაბამისად. შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადები, შესაბამისობის გეგმაში განსაზღვრული არ არის.

წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის თანახმად, სკოლა პერსონალის პირად საქმეებში უზრუნველყოფს კანონმდებლობით გათვალისწინებული ცნობების წარმოდგენას.

შესრულების ვადა: 20.06.2026

ინდიკატორი დაკმაყოფილებული არ არის

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს

სკოლის დირექტორის 2025 წლის 17 ოქტომბრის N2-62 ბრძანებით, დამტკიცებულია სკოლის დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები. ვიზიტის დროს, პირადი საქმეების განხილვით, დადასტურდა, რომ დირექციისა და ადმინისტრაციის პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების (დარაჯი, დამლაგებლები) პირადი საქმეები სკოლამ ვერ წარმოადგინა, რის გამოც აღნიშნული პირების კვალიფიკაციის შესაბამისობა ვერ დადასტურდა.

სკოლის აკადემიურ პერსონალთან მიმართებით, იკვეთება შეუსაბამობა. სკოლაში დასაქმებულია უსტატუსო პედაგოგი, რომელის კვალიფიკაციაა არ შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების (დარაჯები, დამლაგებლები) პირადი საქმეები. სკოლის დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრელი დოკუმენტის თანახმად, სკოლის დარაჯი შეიძლება იყოს პირი, რომელსაც აქვს მინიმუმ საშუალო განათლება, ხოლო დამლაგებლის პოზიციაზე შეიძლება დასაქმდეს პირი, რომელსაც აქვს საბაზო ან საშუალო განათლება. შესაბამისი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტები სკოლას სრულყოფილად არ წარმოუდგენია. (წარმოდგენილია მხოლოდ ერთი დარაჯის სრული ზოგადი განათლების ატესტატი). ამიტომ, აღნიშნული პირების კვალიფიკაციის შესაბამისობა ვერ დასტურდება. შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადები, შესაბამისობის გეგმაში განსაზღვრული არ არის.

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად, სკოლა უზრუნვველყოფს სკოლაში პედაგოგის დასაქმებას, რომლის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.

შესრულების ვადა: 10.09.2026

ინდიკატორი დაკმაყოფილებული არ არის

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სკოლაში ფუნქციონირებს სამურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, რომლებიც შედგება თანაბარი რაოდენობის მშობლებისა და პედაგოგებისგან, მოსწავლეთა თვითმმართველობასაც ჰყავს საკუთარი წარმომადგენელი სამეურვეო საბჭოში. სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელშიც სხვა წევრებთან ერთად წარმოდგენილია მოსწავლე, რაც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ჩართვას სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში. სკოლაში არის კოლეგიური სტრუქტურული ერთეული პედაგოგიური საბჭო, საგნობრივი კათედრები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

სკოლის შინაგანაწესისის მე - 15 მუხლით, განსაზღრულია სკოლის თანამშრომელთა წახალისების მექანიზმები. პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისთვის ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისთვის ან/და დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ან/და მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისთვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის ან/და საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისთვის, სკოლა დასაქმებულთა მიმართ გამოიყენებს წახალისების სხვადასხვა ფორმას.

შინაგანაწესის თანახმად, საგნობრივი კათედრის ფუნქციად განსაზღვრულია გამოცდილების გაზიარება და პრობლემის გადაჭრის გზების ძიება.

პედაგოგებთან გასაუბრებით იკვეთება, რომ კათედრის სხდომებზე, ასევე ინტეგრირებული გაკვეთილების დაგეგმვითა და განხორცილებით, ხდება მასწავლებლებს შორის გამოცდილების გაზიარება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი*
- *სკოლის დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები*
- *შინაგანაწესი*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით, გათვალისწინებულია შესრულებული სამუშაოს შეფასების მექანიზმი, რომლის თანახმად, ხდება ძლიერი და გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირება. შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე დაწესებულება გეგმავს და ახორციელებს პერსონალის მიზნობრივი განვითარების პროცესს.

სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტაცია (გაკვეთილზე დასწრების ოქმი), რომელიც ადასტურებს, რომ გაკვეთილზე ურთიერთდასწრების შედეგეგად გაიცემა რეკომენდაციები პროფესიული განვითარების მიმართულებით.

მასწავლებლებთან გასაუბრებით, დასტურდება, რომ საჭიროების შემთხვევაში სკოლა უზრუნველოფს შესაბამის ტრენინგებში მათ ჩართულობას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ სკოლაში მასწავლებლების საჭიროებების დადგენა ხდება ძირითადად გაკვეთილზე უერთიერთდასწრების შედეგად, ასევე ზეპირსიტყვიერად, პერსონალის მხრიდან.

მასწავლებლებთან და დირექციის წარმოადგენლებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ გამოვლენილი საჭიროების შესაბამისად, უზრუნველყოფილია შესაბამის პირთა ტრენინგებში ჩართულობა. მაგალითად, დირექციის წარმომადგენლები დაესწრნენ პროფესიული კავშირის მიერ ორგანიზებულ ტრენინგს ზოგადსაგანამანთლებლო დაწესებულების ავტორიზაციის თაობაზე. პედაგოგებისთვის დაიგეგმა და ჩატარდა ტრენინგი მოსწავლეთა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების თაობაზე.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულია აქტივობები მასწავლებელთა პროფესიული საჭიროებების კვლევის, მათი განვითარებისთვის საჭირო ტრენინგების, სემინარების, სამუშაო შეხვედრების დაგეგმვის მიმართულებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის თანახმად, პერსონალის მიზნობრივი პროფესიული განვითარების დეგეგმვისა და განცხორცილებისას, სკოლა თანამშრომლებს სთავაზობს პროფესიული გავნითარების მრავალფეროვან მეთოდებს, როგორც სკოლის ბაზაზე, ასევე გარედან შეთავაზებული სერვისებით.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით და მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. უზრუნველყოფილია მონაწილეობა პროფესიული და კარიერული განვითარების მიზნით ჩატარებულ ტრენინგებსა თუ სამუშაო შეხვედრებში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით განსაზღვრულია ახალი თანამშრომლის სოციალიზაციის მექანიზმი. იმისათვის, რომ წარმატებულად წარიმართოს ახალი თანამშრომლის ადაპტაციის პროცესი, სკოლა ეხამრება მას გაეცნოს დამკვიდრებულ წესებს და ტრადიციებს. აორგანიზებს შეხვედრას თანამშრომლებთან.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის თანახმად, სკოლაში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. თავის მხრივ, ინიციატივები შეიძლება გამოიკვეთოს პერსონალის საჭიროების კვლევის შედეგად, ან ზეპირსიტყვიერად, პერსონალის მხრიდან.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და სკოლის თანამშრომლებთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ საჭიროების შემთხვევაში იგეგმება ტრენინგები პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა*

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლაში შემუშვებულია და დირექტორის 2025 წლის 17 ოქტომბერის N2-60 ბრძანებით დამტკიცებულია ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა, რომლის თანახმად, ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი შედგება ქვეპროცესებისგან - რისკების შეფასება, შემოწმების წლიური გეგმის შედგენა, შემოწმების განხორციელება, დასკვნის შედგენა და უკუკავშირი, რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის განხორცილება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სკოლა ახორციელებს სასწავლო პროცესის მონიტორინგს, დამკვიდრებული პრაქტიკაა დიაგნოსტიკური წერების რეგულარული ჩატარება და შედეგების ანალიზი, პედაგოგთა გაკვეთილებზე ურთიერთდასწრება, კათდრების წლიური ანგარიშგება, სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი და შეფასება, რასაც ეფუძნება სკოლაში ხარისხის უზრუნველყოფის ციკლი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტით, იდენტიფიცირებული და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები.

მმართველობით პროცესებად განსაზღრულია სტრატეგიული დაგეგმვა, წლიური დაგეგმვა, ხარისხის უზრუნველყოფა. ძირითად პროცესებად - კურიკულუმის განვითარება, სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა. ხოლო დამხამრე პროცესებად - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოება, მოსწავლის სერვისების განხორციელება, საბიბლიოთეკო სერვისების განხორციელება,

ფინანსური რესურსების მართვა, ადამიანური რესურსების მართვა, მატერიალური რესურსების მართვა, უსაფრთხოების უზრუნველყოფა და წესრიგის დაცვა, საზოგადოებასთან ურთიერთობა, საქმისწარმოება, კარიერული განვითარება.

შემუშავებულია საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესების მარეგულირებელი დოკუმენტები. სკოლამ წარმოადგინა სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, მოქმედ შინაგანაწესში გაწერილია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი მექანიზმები. სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების წესი, ბიბლიოთეკის დებულება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლის შინაგანაწესის 25 -ე მუხლში აღნიშნულია, რომ განცხადება/საჩივარი რეგისტრაციაში უნდა გატარდეს და მათზე რეაგირება უნდა განხორციელდეს საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით“ დადგენილი მოთხოვნის შესაბამისად.

სკოლის დირექტორის 2025 წლის 12 ნოემბრის N2-73 ბრძანებით, დამტკიცებულია განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი. აღნიშნული დოკუმენტით განსაზღრულია სკოლაში განცხადების/საჩივრის წარდგენის წესი, განცხადების/საჩივრის განხილვის წესი და ვადები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

სკოლაში პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვა რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით, რომლითაც განსაზღრულია მოსწავლის/მასწავლებლის დისციპლინური გადაცდომისა და სახდელების სახეები, სკოლის შინაგანაწესით რეგულირდება მშობლისა და მოსწავლეების უფლებები და ვალდებულებები. სკოლის დერეფნებში გამოკრულია 112-ის,მანდატურის,სახალხო დამცველის და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ცხელი ხაზის ნომრები. სკოლის ყველა მოსწავლის მშობელს/წარმომადგენელს შორის ფორმდება ხელშეკრულებები. საჭიროების შემთხვევაში იგეგმება მშობლებთან ინდივიდუალური შეხვედრები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

ინდიკატორი დაკმა

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *შინაგანაწესი*
- *სკოლის ვიზუალური დათვალიერება*
- განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლის საქმიანობისა და სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შესახებ ინფორმაცია მშობელს მიეწოდება მშობელთა კრებებზე კლასის დამრიგებლის მეშვეობით;

დირექციის განცხადებით, რაც დააადასტურეს მშობლებმა გასაუბრების დროს, სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკაა სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებთან პირდაპირი და უშუალო კომუნიკაცია. თუმცა, რეგულარულად ტარდება პედაგოგური საბჭოს, სამეურვეო საბჭოს სხდომები, რაც უზურნველყოფს მიმდინარე საკითხების განხილვისა და უკუკავშირის მიღების შესაძლებლობას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ მიმდინარე საკითხებთან დაკავშირებით, საზოგადოებისგან უკუკავშირის მიღება ხდება კითხვარების საშუალებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სკოლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულია დირექციისა და მასწავლებლების პასუხისმგებლობა სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართვის უზრუნველყოფის მიმართულებით. სკოლაში ფუნქციონირებს სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, რომლებიც შედგება თანაბარი რაოდენობის მშობლებისა და პედაგოგებისგან, მოსწავლეთა თვითმმართველობას ჰყავს საკუთარი წარმომადგენელი სამეურვეო

საბჭოში, სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელშიც სხვა წევრებთან ერთად წარმოდგენილია მოსწავლე, რაც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ჩართვას სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *მშობელთა კრების ოქმები*
- *მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმები*
- *ერთწლიანი სამოქმედო გეგმა*
- *კითხვარები, რომლის საშუალებითაც განხორციელდა სასკოლო საზოგადოების გამოკითხვა*

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება
3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და**

სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)

სკოლაში შემუშავებული და დამტკიცებულია ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დოკუმენტი, რომლის თანახმად სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს მანდატური, და სკოლის დირექცია. თუმცა, სკოლას არ ჰაყვს მანდატური - სკოლის დირექტორის 2023 წლის 6 ნოემბრის N2-87 ბრძანებით, განსაზღრულია სკოლის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. **მანდატურის სამსახურის მიერ, უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის გადამზადების დამადასტურებული სერტიფიკატი სკოლამ ვერ წარმოადგინა.**

საჯარო სკოლის უსაფრთხოებაზე სკოლის ტერიტორიის დაცვას უზრუნველყოფს სკოლის დარაჯი. სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას უსაფრთხოებას უფლებამოსილ პირთან ერთად, უზრუნველყოფს მორიგე მასწავლებელი.

სკოლაში შემუშავებული და დირექტორის 2025 წლი 17 ოქტომბტის N2-65 ბრძანებით, დამტკიცებულია, ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დოკუმენტი, რაც ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას - **საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 31 აგვისტოს №785 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სკოლის დირექტორსა და სამეურვეო საბჭოს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების პირობების“ შესაბამისად, სკოლის დირექტორის სამეურვეო საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკას.**

სკოლამ წარმოადგინა უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა, რომლის თანახმად, სკოლის შენობისა და სპორტული დარბაზის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, თუმცა სკოლის შენობა შეუსაბამოა სეისმომედეგი მშენებლობის ნორმებთან. არსებული მდგომარეობით, შენობის ექსპლუატაცია არ არის საფრთხის შემცველი, თუმცა საჭიროა გადაუდებლად იქნას აღმოფხვრილი კვლევით ნაწილში მითითებული შენიშვნები, რათა შენობა მოყვანილ იქნას შესაბამისობაში სეისმურ ნორმებთან. **დასკვნაში ასევე აღნიშნულია, რომ სასწავლო შენობასა და სპორტულ დარბაზს შორის განთავსებული ღია ლითონის ფარდულის დამოუკიდებელი ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია და საჭიროებს რეაბილიტაციას. ფარდულის უსაფრთხო ექსპლუატაცია შესაძლებებლი იქნება სათანადო სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების შემდეგ. დასკვნა დათარიღებულია 2023 წლის 17 სექტემბრით. კვლევით ნაწილში მითითებული რეკომენდაციები, სკოლის მიერ, მიმდინარე ეტაპისთვის გათვალისწინებული არ არის.**

სკოლის ეზოს ვიზუალური დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ ტერიტორიაზე მდებარეობს ძველი საპირფარეშოს შენობა, რომლის ინფრასტრუქტურა არ შეესაბამება ჰიგიენისა და უსაფრთხოების მინიმალურ სტანდარტებს. აღნიშნულ ობიექტში არ არის გამიჯნული კაბინები და არ არის უზრუნველყოფილი აუცილებელი სანიტარულ-ჰიგიენური საშუალებებით. სკოლის დირექციის ინფორმაციით, აღნიშნული

საპირფარეშოთი სარგებლობენ არა მხოლოდ მოსწავლეები, არამედ გარეშე პირებიც, რაც ზრდის მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობისათვის პოტენციურ რისკს.

სკოლის სპორტული დარბაზი განთავსებულია სკოლის ეზოში, როგორც ცალკე ნაგებობა. სკოლის დირექტორის განცხადებით, რაც დადასტურდა მონიტორინგის დროს არსებული ფაქტობრივი გარემოებით (დარბაზში მონიტორინგის ვიზიტისას მიმდინარეობდა ვარჯიში), აღნიშნული სივრცე გამოიყენება გარეშე პირების მიერ სპორტული წრის ორგანიზების მიზნით. მიუხედავად ამისა, სკოლამ ვერ წარმოადგინა სპორტული დარბაზის იჯარით ან სხვა სამართლებრივი ფორმით გადაცემის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. შესაბამისად, სკოლის ტერიტორიაზე, მათ შორის სპორტულ დარბაზში, გადაადგილდებიან უცხო პირები, რაც რისკის ქვეშ აყენებს მოსწავლეთა უსაფრთხოებას.

ვიზუალური დათვალიერების შედეგად, ასევე დაფიქსირდა, რომ სპორტული დარბაზის ფანჯრის მინები არ არის დაფარული დამცავი შრით. ვიზიტის დროს მინები დაბზარული და ნაწილობრივ ჩამტვრეული იყო, რაც საფრთხეს უქმნის მოსწავლეთა უსაფრთხოებას.

სკოლის შიდა და გარე პერიმეტრი სრულყოფილად არ არის აღჭურვილი ვიდეო სათვალთვალო კამერებით. მიმდინარე ეტაპზე, სკოლის შენობის ნახევარი და სკოლის ეზოს დიდი ნაწილი ვიზუალურ მონიტორინგს არ ექვემდებარება.

სკოლის შიდა და გარე პერიმეტრზე არსებული კამერების გამოსახულება ისახება მონიტორზე, რომელიც განთავსებულია დირექტორის კაბინეტში. უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის სამუშაო სივრცე კი სხვა ოთახშია განთავსებული. ამის შედეგად, ვიდეოსათვალთვალო სისტემით მიღებული ინფორმაციის უწყვეტი და სრულყოფილი მონიტორინგი ფაქტობრივად ვერ ხორციელდება.

სკოლამ წარმოადგინა სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტი N92, რომელიც დათარიღებულია 2024 წლის 04 მარტით. ასევე აქტის შესაბამისად შემუშვებული პროექტი და ხარჯთაღრიცხვა, რომლის თანახმად, განსახორციელებელი სამუშოებისთვის საჭიროა 73 131,60 ლარი. სკოლამ 2025 წლის 17 იანვარს, წერილობით (წერილი N23601) მიმართა შესაბამისი რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრს, სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან ფინანასური დახმარების თხოვნის მიზნით შუამდგომლობის თაობაზე

უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებულია საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.

სკოლას მიეცა მიეცა რჩევა:

- გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დოკუმენტში, და მანდატურის ნაცვლად უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღროს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი.
- სკოლაში დასაქმდეს კანონმდებლობის შესაბამისი შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი

- მიზანშეწონილია, სკოლამ გაითვალისწინოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის კვლევით ნაწილში მითითებული შენიშვნები, რათა შენობა მოყვანილ იქნას შესაბამისობაში სეისმურ ნორმებთან.

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლას არ წარმოდუგენია მტკიცებულება (სპორტული დარბაზის იჯარით ან სხვა სამართლებრივი ფორმით გადაცემის დამადასტურებელი დოკუმენტაცია). შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადები, შესაბამისობის გეგმაში განსაზღვრული არ არის.

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლას არ წარმოდუგენია მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა, რომ მიმდინარეობს ვიდეოსათვალთვალო სისტემით მიღებული ინფორმაციის უწყვეტი და სრულყოფილი მონიტორინგი. შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადები, შესაბამისობის გეგმაში განსაზღვრული არ არის.

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლას არ წარმოდუგენია მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა, რომ უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე მდებარე ძველი საპირფარეშოს შენობის დაცვას გარეშე პირებისგან. სკოლამ წარმოადგინა ადგილობრივ მუნიციპალიტეტში გაგზავნილი წერილი, რომლითაც ითხოვს საპირფარეშოს რეაბილიტაციას. საპირფარეშოს ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, უცხო პირებისათვის დაშვების შეზღუდვის შესაბამისი მექანიზმების გარეშე, ვერ უზრუნველყოფს მოსწავლეთა უსაფრთხოების მიმართულებით არსებული პოტენციური რისკების შემცირებას. შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადები, შესაბამისობის გეგმაში განსაზღვრული არ არის.

არგუმეტირებულ პოზიციისათან ერთად, სკოლამ წარმოადგინა მტკიცებულებები:

მანდატურის სამსახურის მიერ, უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის გადამზადების დამადასტურებული სერტიფიკატი

სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი, რომლითაც დასტურდება, რომ სამეურვეო საბჭომ განიხილა და დაამტკიცა სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკა.

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად, უზრუნველყოფს:

- სასწავლო შენობასა და სპორტულ დარბაზს შორის განთავსებული ღია ლითონის ფარდულის რეაბილიტაციას.

შესრულების ვადა: 25.12.2026

- **სპორტული დარბაზის ფანჯრის მინების დაფარვის დამცავი შრით.**

შესრულების ვადა: 25.12.2026

- **სკოლის შიდა და გარე პერიმეტრი სრულყოფილად აღჭურვას ვიდეო სათვალთვალო კამერებით.**

შესრულების ვადა: 25.12.2027

ინდიაკატორი დაკმაყოფილებული არ არის

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სკოლაში შემუშავებული და დირექტორის 2025 წლის 17 ოქტომბრის N2-63 ბრძანებით, დამტკიცებულია სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი, რომლის თანახმად, ექიმი ვალდებულია მოახდინოს დაუყოვნებელი რეაგირება მოსწავლის ან სკოლის პერსონალის ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ გადაუდებელ მდგომარეობაზე.

სკოლაში მოწყობილია სამედიცინო კაბინეტი, რომელიც სრულად არის აღჭურვილი ყველა საჭირო ინვენტარით. დასაქმებულია ექიმი, რომლის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.

გახარჯული მედიკამენტების და სამედიცინო მასალების, ვადაგასული მედიკამენტების და სამედიცინო მასალების, გაწეული სამედიცინო მომსახურების აღრიცხვა არ ხდება კანონმდებლობით დადგენილი ფორმების შესაბამისად.

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა მტკიცებულება (გახარჯული მედიკამენტების და სამედიცინო მასალების, ვადაგასული მედიკამენტების და სამედიცინო მასალების, გაწეული სამედიცინო მომსახურების კანონმდებლობით დადგენილი ფორმების შესაბამისად აღრიცხვის ამსახველი დოკუმენტები), რაც ადასტურებს, რომ ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ინდიაკატორი დაკმაყოფილებულია

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლი პირი. დარაჯის მიერ კონტროლდება შენობაში უცხო პირთა გადაადგილება. შექმნილია მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი.

ინდიაკატორი დაკმაყოფილებულია

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

სკოლის დირექტორის ბრძანებით, სკოლაში დამტკიცებულია ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული სკოლის შიდა ინსტრუქცია, რომელიც განსაზღრავს პრობლემის იდენტიფიცირების, საჭიროებების დადგენის და მოსწავლისთვის დახმარების აღმოჩენის მექანიზმს.

სკოლაში წახალისებულია მოსწავლეთა და დასაქმებულ პირთა ინიციატივები, რაც ხელს უწყობს სასკოლო გარემოში ემოციურ და ფსიქოლოგიურ თვითდამკვიდრებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სკოლაში შემუშავებული და დამტკიცებულია ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დოკუმენტი, რომლითაც განსაზღრულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფის მექნიზმები. სკოლაში დასაქმებულია 2 დამლაგებელი. სკოლის ექიმი ვალდებულია ზედამხედველობა გაუწიოს სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

შესაბამისი რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის ბრძანებით, განსაზღრულია პირი (რესურსცენტრის თანამშრომელი), რომელიც სკოლისთვის უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ფუნქციების განხორციელებას. სკოლის დირექტორის

2025 წლის 26 მარტის N2-09 ბრძანებით დამტკიცებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის სამუშაო აღწერილობა და განსაზღვრულია ანგარიშვალდებულების საკითხი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია სკოლის ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკა, რომლის თანახმად, სკოლის ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის განსაზღვრაზე, დანერგვის მონიტორინგზე, რეალიზებაზე პასუხისმგებელია საინფორმაციო მენეჯერი. სკოლის ყველა თანამშრომელი პასუხისმგებელია ინფორმაციულ უსაფრთხოებაზე. სკოლის კომპიუტერული ტექნიკა უზრუნველყოფილია ანტივირუსული პროგრამით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო. სკოლის მიერ წარმოდგენილი მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმები ადასტურებს, რომ მრჩეველთა საბჭო განხილვის საგნად აქცევს სასკოლო გარემოში გამოვლენილ პრობლემებს და გეგმავს მათ მოგვარების მიზნით აქტივობებს. რეგულარულად დაფიქსირებული დისციპლინურ გადაცდომების გათვალისწინებით, იგეგმება ღონისძიებები, მაგალითად, თამბაქოს მოხმარებაზე მონიტორინგის გაძლიერების შედეგად, აღნიშნული სახის გადაცდომა აღარ გამოვლენილა. .

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა

- *უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა*
- *უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის შესაბამისად შემუშავებული პროექტი, ხარჯთაღრიცხვა და წერილი შესაბამისი თანხის მოთხოვნის თაობაზე*
- *სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი*
- *ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დოკუმენტი*

- *მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმები*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით და სკოლის ტერიტორიის ვიზუალური დათვალიერებით იკვეთება, რომ სკოლას სარგებლობის უფლებით გადაცემული აქვს ტერიტორია, რომელიც განსაზღვრულია ოთხი საკადასტრო კოდის შესაბამისად. აღნიშნული ტერიტორიების ფართი შეადგენს - 730 კვ.მ, 7858 კვ.მ, 8588 კვ.მ და14560.00 კვ.მ.

აღნიშნული ფართი სკოლას, გადაცემული აქვს ქონების მართვის ეროვნული სააგენტოსაგან, სარგებლობის უფლებით და მასზე განთავსებულია სკოლის შენობა.

სკოლის ინფრასტრუქტურა მოწესრიგებულია. შენობას რეაბილიტაცია ჩაუტარდა 2018 წელს. სკოლაში არის სამუშო სივრცე დირექციისა და მასწავლებლებისთვის. ფუნქციონირებს ექიმის კაბინეტი, რესურსოთახი. არის მოქმედი ბიბლიოთეკა მრავალფეროვანი რესურსით, რომელიც აღჭურვილია საჭირო ინვენტარით. სკოლაში მოწყობილია კომპიუტერული ლაბორატორია, ექიმის კაბინეტი. არის

კეთილმოწყობილი სპორტული დარბაზი, გასახდელებით და საშხაპეებით, თუმცა მიმდინარე ეტაპზე გასახდელები და საშხაპე ფუნქციური არ არის, ყოველ სართულზე არის სველი წერტილი. ადაპტირებული სველი წერტილი განთავსებულია შენობის პირველ სართულზე.

სკოლის დირექტორის განცხადებით, დაწყებულია საქმის წარმოება ადგილობრივი თვითმმართველობისთვის, სკოლის სარგებლობაში არსებული ფართიდან, 800 კვ.მ ფართის გადაცემის თაობაზე. აღნიშნულ ფართზე განთავსებულია ღია სპორტული მოედანი და ღია სპორტული ტრენაჟორები.

სკოლას მიეცა რჩევა - მიზანშეწონილია სპორტული დარბაზის გასახდელებისა და საშხაპეების მოწესრიგება და დანიშნულებისამებრ გამოყენება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებთან გასაუბრებით იკვეთება, რომ **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. სკოლაში შემუშვებულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის განრიგი.**

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სკოლაში შემუშავებული ბიბლიოთეკის დებულება, პასუხობს იმ აუცილებელ წესებს, რომელიც უზრუნველყოფს ბიბლიოთეკის გამართულად მუშაობას. დებულებით გაწერილია ბიბლიოთეკით მოსარგებლე პირების, საბიბლიოთეკო რესურსით სარგებლობის, მისი დაცულობის, სამკითხველო დარბაზში ქცევის წესები. უზრუნველყოფილია ხელმისაწვდომობა სასკოლო საზოგადეობისთვის. ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია, როგორც გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოები, ასევე მხატვრული ლიტერატურა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სკოლაში, თითოეული მოსწავლე, სკოლის მიერ უზრუნველყოფილია ინდივიდუალური სასწავლო ინვენტარით - გამოყოფილია ინდივიდუალური მერხი და სკამი, სასწავლო წიგნები. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ხელმისაწვდომობა მატერიალურ რესურსებზე. სკოლის შენობაში შესვლა შესაძლებელია პანდუსით. პირველ სართულზე მოწყობილია ადაპტირებული საპირფარეშო.

არ არის უზრუნველყოფილი შშმ პირთათვის სკოლის შენობის მეორე და მესამე სართულებზე გადაადგილების შესაძლებლობა.

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად, უზრუნველყოფს შშმ პირთათვის სკოლის შენობის მეორე და მესამე სართულებზე გადაადგილების შესაძლებლობას. შესაბამისობის უზრუნველყოფის საწყის ვადად განსაზღვრულია 13.11.2025. თუმცა არ არის მითითებული დასრულების ვადა. შესაბამისად, ინდიკატორის მეტწილი ან ნაწილობივი შესაბამისობის შეფასების საფუძველი არ არის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებული არ არის

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სკოლის ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის. მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა სკოლის ბაზაზე განახორციელონ სპორტული, კულტურული, სოციალური და შემეცნებითი აქტივობები. ამ მიზნით სკოლაში არის სპორტული დარბაზი, კომპიუტერული ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, სკოლის ეზო.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *ბიბლიოთეკის დებულება*
- *სკოლის ვიზუალური დათვალიერება*
- *ამონაწერი საკარო რეესტრიდან*

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

კომპიუტერით უზრუნველყოფილია სკოლის დირექტორი, საქმისმწარმოებელი, ბუღალტერი, ბიბლიოთეკარი. კომპიუტერი და პრინტერი განთავსებულია სამასწავლებლოში. სკოლის ვიზუალური დათვალიერებით, ადმინისტაციის წარმომადგნელებთან, მასწავლებლებთან და მოსწავლეებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ უზრუნველყოფილია ადმინისტრაციულ და სასწავლო პროცესში ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე სკოლაში დასაქმებულ პირთათვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

.

სკოლის ვიზუალური დათვალიერებით, ადმინისტრაციის წარმომადგნელებთან, მასწავლებლებთან და მოსწავლეებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ უზრუნველყოფილია ინფორმაციული ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე სკოლაში დასაქმებულ პირთათვის. შემუშავებულია კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის განრიგი. ბიბილიოთეკაში განთავსებულია ლეპტოპები, რომელთა გამოყენება შეუძლიათ როგორც მოსწავლეებს, ასევე სკოლაში დასაქმებულ პირებს.

ბიბლიოთეკის დებულებით, განსაზღვრულია ბიბლიოთეკაში კომპიუტერით სარგებლობის წესი.

სკოლას მიეცა რჩევა - მიზანშეწონილია, შემუშვდეს ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების წესი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*
- *განხორციელებული ინვენტარიზაციის მასახველი მასალები*
- *ბიბლიოთეკის დებულება*

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლაში შემუშვებული და დამტკიცებულია საქმისწარმოების წესი, რომელიც არ შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.

სკოლის საქმისწარმოების წესის 22 - ე მუხლის 22.4 პუნქტის თანახმად, მოსწავლეთა პირადი საქმეები სკოლაში ინახება 3 წლის განმავლობაში, რაც ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 22 აგვისტოს №113/ნ ბრძანებით დამტკიცებული მოსწავლის პირადი საქმის წარმოების წესის მე-2 მუხლის მე - 6 პუნქტის თანახმად, მოსწავლის პირადი საქმე სკოლაში ინახება 75 წლის განმავლობაში.

სკოლის საქმისწარმოების წესის სკოლის 22-ე მუხლის 22.3 პუნქტის თანახმად, მოსწავლის სკოლიდან გადასვლის შემთხვევაში, პირადი საქმე წერილობითი განცხადების საფუძველზე ეძლევა მშობელს, რაც ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 22 აგვისტოს №113/ნ ბრძანებით დამტკიცებული მოსწავლის პირადი საქმის წარმოების წესის მე-6 მუხლის 1 პუნქტის თანახმად, მოსწავლის პირადი საქმის დედნის დასაშვებია მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით მოსწავლის მობილობისას, მიმღები სკოლიდან წერილობითი მოთხოვნის წარმოდგენის შემთხვევაში. გასაგზავნად გამზადებული მოსწავლის პირადი საქმე თავსდება კონვერტში, ფორმდება საფოსტო გზავნილად და მიმღებ სკოლას ეგზავნება დალუქულ მდგომარეობაში. დაუშვებელია, მოსწავლის პირადი საქმის მოსწავლისათვის, მოსწავლის მშობლის, მეურვის, მზრუნველის, კანონიერი წარმომადგენლისათვის ან სხვა პირისათვის გადაცემა ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევის გარდა.

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად სკოლამ უზრუნველყო ცვლილება საქმისწარმოების წესში და მტკიცებულებად გამოიგზავნა ბრძანება N2-80. თუმცა, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზით იკვეთება, რომ

სკოლის დირექტორის 2025 წლის 25 ნოემბრის N2-80 ბრძანებით, დამტკიცებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა. საქმისწარმოების კორექტირებული წესი წარმოდგენილი არ არის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებული არ არის

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლა სარგებლობს დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემით - „eflow"; აქვს ოფიციალური ელექტრონული ფოსტა - badiauri@mes.gov.ge. სკოლის მონაცემები ასახულია სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემაში - Eschool; იყენებს ელექტრონულ ჟურნალს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

სკოლას აქვს საკუთარი პროფილი eschool.emis.ge-ზე. საინფორმაციო ბარათში შეყვანილია სხვადასხვა ინფორმაცია: მისამართი, იურიდიული სტატუსი, საიდენტიფიკაციო კოდი, საგანმანათლებლო სტატუსი, სექტორი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია და სკოლის საბანკო რეკვიზიტები. ასახული ინფორმაცია არჩეული გრიფირებული სახელმძღვანელოების თაობაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლის ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის ვიზუალური დათვალიერებით ჩანს, რომ სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *საქმისწარმოების წესი*
- *Eschool -ის ის და Eflow - ვიზუალური დათვალიერება*

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლას აქვს ვებ გვერდი და გვერდი სოციალურ ქსელში. ინფორმაციულად დატვირთულია სკოლის გვერდი სოციალურ ქსელში (facebook). გვერდზე გამოქვეყნებულია ინფორმაცია განხორციელებული და დაგეგმილი სასკოლო აქტივობების, სკოლის მოსწავლეთა და პედაგოგთა, სასკოლო კლუბების წარმატებისა და მიღწევების თაობაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლა მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას ანხორციელებს სოციალური ქსელითა და ვებ გვერდით. ვიზუალური დათვალიერებით, ჩანს, რომ ვებ გვერდზე განთავსებული ინფორმაცია სკოლის საქმიანობის შესახებ და საკონტაქტო ინფორმაცია, არის სანდო და უტყუარი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

დირექციის განცხადებით, რაც დააადასტურეს მშობლებმა გასაუბრების დროს, სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკაა სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებთან პირდაპირი და უშუალო კომუნიკაცია. თუმცა, რეგულარულად ტარდება პედაგოგური საბჭოს, სამეურვეო საბჭოს სხდომები, რაც უზურნველყოფს მიმდინარე საკითხების განხილვისა და უკუკავშირის მიღების შესაძლებლობას. მიღებული უკუკავშირის საფუძველზე, სკოლა ორიენტირებულია საკუთარი საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი - https://tinyurl.com/3nnr559s , რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, სკოლა სწავლებას ახორციელებს ქართულ ენაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი - https://tinyurl.com/3nnr559s . ვებ გვერდზე განთავსებულია სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები. სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, სტრატეგიული განვითარების გეგმა, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში. **არ არის განთავსებული პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში.**

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად უზრუნველყოფილია ინდიკატორის შესაბამისობა. თუმცა, სკოლის ვებ გვერდის დათვალიერებით გამოიკვეთა, რომ ვებ გვერდზე არ არის განთავსებული ინფორმაცია პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურების თაობაზე. ხოლო მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისების ბმულზე ატვირთულია დოკუმენტი, რომელიც არ შეესაბამება ბმულის დასახელებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებული არ არის

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სკოლის ვებ გვერდი*
- *სკოლის გვერდი სოციალურ ქსელში (facebook)*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები
3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლა ფინანსდება ვაუჩერული დაფინანსებით. ძირითადი ფინანსური რესურსი იხარჯება დასაქმებულთა შრომით ანაზღაურებაზე, ასევე მატერიალური რესურსების შესყიდვაზე, სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების უზრუნველყოფა.

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლის ბიუჯეტს ამტკიცებს სამეურვეო საბჭო. დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია შესყიდვების გეგმა. შესყიდვის განხორცილების წინ ხდება ბაზარზე არსებული ფასების კვლევა. სკოლის დირექტორი დეკემბერში ანგარიშით წარდგება სამეურვეო საბჭოს წინაშე. კალენდარული წლის ბოლოს შედგენილია ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *ფინანსური ანაგრიში*
- *ინვენტარიზაციის ამსახველი დოკუმენტაცია*
- *სკოლის ბიუჯეტი*
- *ბაზრის კვლევის ამსახველი დოკუმენტაცია*
- *შესყიდვების გეგმა*

შეფასება:
○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა
4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა
4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი შინაგანაწესი, რომელიც განსაზღვრავს მოსწავლეთა უფლება-მოვალეობებს. მოსწავლეთა უფლება-მოვალეობები ასევე გაწერილია ხელშეკრულებაში, რომელიც ფორმდება სკოლასა და მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს შორის. სკოლას შემუშავებული აქვს 2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის N40/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმის მე-5 მუხლის მე-16 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

სემესტრული ქულის ამაღლების წესი უნდა იყოს დადგენილი და დარეგულირებული სასკოლო სასწავლო გეგმით. აგრეთვე, ეროვნული სასწავლო გეგმის მე-8 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, საშემოდგომო გამოცდის ჩატარების წესსა და პროცედურებს განსაზღვრავს სკოლა, ასევე სასკოლო სასწავლო გეგმის საშუალებით. **სკოლის მიერ წარმოდგენილი სასწავლო გეგმის ანალიზით იკვეთება, რომ აღნიშნული საკითხები – სემესტრული ქულის ამაღლების მექანიზმი და საშემოდგომო გამოცდის წესი – სასკოლო სასწავლო გეგმით არ არის დადგენილი ან დარეგულირებული. შესაბამისად, სკოლის შიდა რეგულაციებით სრულყოფილად არ ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა.**

არგუმენტირებულ პოზიციისთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა მტკიცებულება (კორექტირებული სასკოლო სასწავლო გეგმა), რომლითაც დასტურდებამ რომ ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

სკოლაში ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 17-18 ოქტომბერს. ვიზიტის შემდეგ წარმოადგინა სკოლამ კორექტირებული სასკოლო სასწავლო გეგმა, თუმცა შეთანმხების და დამტკიცების თარიღად მითითებულია 2025 წლის 02 სექტემბერი.

სკოლას მიეცა რჩევა - მიზანშეწონილია, გასწორდეს ტექნიკური ცდომილება და სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშვებისა და დამტკიცების თარიღი განისაზღვროს ცვლილების შეტანის რეალური თარიღის შესაბამისად.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან

შინაგანაწესი, რომელიც საჯარო დოკუმენტია, განთავსებულია სკოლის ვებ. გვერდზე და ხელმისაწვდომია ყველა პირისათვის. კლასის დამრიგებელი აცნობს მოსწავლეს და მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს მათ უფლებებს. სკოლას აქვს გვერდი სოციალურ ქსელში (facebook), სადაც აქტიურად ზიარდება ინფორმაცია სკოლაში მიმდინარე პროცესების შესახებ. მოსწავლეებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ მოსწავლეები სრულად არიან ინფორმირებული თუ ვის უნდა მიმართონ კონკრეტული იდეის ინიცირების გაზიარების/განხორციელების მიზნით. დამრიგებელი მოსწავლეებს აცნობს შინაგანაწესს, მათ უფლება-მოვალეობებს. **თუმცა სკოლის მიერ წარმოდგენილი სასწავლო გეგმის ანალიზით იკვეთება, რომ სემესტრული ქულის ამაღლების მექანიზმი და საშემოდგომო გამოცდის წესი სასკოლო სასწავლო გეგმით არ არის დადგენილი ან დარეგულირებული. შესაბამისად, მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალე და გაზიარებული სასკოლო საზოგადოებასთან არ არის.**

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა მტკიცებულება (კორექტირებული სასკოლო სასწავლო გეგმა), რომლითაც დასტუდება, რომ უზრუნველყოფილია მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციების გამჭირვალობა. თუმცა არ დასტურდება რეგულაციები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან. შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადები, შესაბამისობის გეგმაში განსაზღვრული არ არის. შესაბამისად, ინდიკატორი 4.1.1.2 დაკმაყოფილებული არ არის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებული არ არის

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება

მოსწავლესთან,მშობელთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *შინაგანაწესი*
- მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- *მოსწავლეთა ჩარიცხვის,საფეხურის დაძლევის, მობილობის,სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი*
- *2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა*

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლაში შემუშავებული და სკოლის დირექტორის 2023 წლის 09 აგვისტოს N2-43 ბრძანებით, დამტკიცებულია მოსწავლეთა ჩარიცხვის საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი, რომელიც არ შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. ვინაიდან აღნიშნულ დოკუმენტის თანახმად, პირველ კლასში ჩაირიცხება პირი, თუ 1 ოქტომბრამდე უსრულდება 6 წელი. საბაზო საფეხურად განსაზღვრულია VII-IX კლასი, ხოლო საშუალო საფეხურად X-XII. ზოგადი განათლების შესახებ კანონის მე - 6 მუხლის მე - 6 პუნქტის ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე სწავლის დაწყების ასაკია 6 წელი, რომელიც პირს ამ კანონის 7[1] მუხლის პირველ პუნქტში მითითებული სასწავლო წლის დაწყების თარიღის ჩათვლით უსრულდება. ამასთანავე, პირს, რომელსაც 6 წელი სასწავლო წლის დაწყების თარიღის მომდევნო დღიდან 31 დეკემბრის ჩათვლით უსრულდება, უფლება აქვს, მშობლის გადაწყვეტილებით ნებაყოფლობით დაიწყოს სწავლა ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე. ამავე კანონის მე - 2 მუხლის „ო“ პუნქტის თანახმად, საქართველოში სრული ზოგადი განათლების 3 საფეხურია: დაწყებითი (6 წელი – I–VI კლასები), საბაზო (4 წელი – VII–X კლასები) და საშუალო (2 წელი – XI და XII კლასები).

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა მტკიცებულება (მოსწავლეთა ჩარიცხვის საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის კორექტირებული წესი), რომლითაც დასტურდება, რომ ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს

სკოლა კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის პროცედურებს. სკოლაში მოსწავლეთა მიღება ხდება ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, დადგენილი ნორმებისა და პროცედურების შესაბამისად. პირველკლასელთა რეგისტრაცია ხორციელდება სკოლის მიერ განსაზღვრული ლიმიტის ფარგლებში, მინისტრის მიერ დადგენილი ვადებისა და ეტაპების. მართვის საინფორმაციო სისტემის ბაზის (Eschool) დათვალიერებით დადგინდა, რომ სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვა, საფეხურის დაძლევა, მობილობა, სტატუსის შეჩერება კანონმდებლობის შესაბამისად მიმდინარეობს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით და მასწავლებლებთან და მშობლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სასწავლო წლის დასაწყისში კლასის დამრიგებლები მოსწავლეებსა და მშობლებს აცნობენ შინაგანაწესს და ყველა იმ წესს, რომელიც შიდა მარეგულირებელი

დოკუმენტების მიხედვით არის განსაზღვრული. ასევე აცნობენ სკოლის მიერ შეთავაზებულ მომსახურების სერვისებსა და პირობებს - ინფორმაციას ტრანსპორტით უზრუნველყოფის, არსებული წრეების, კლუბების თაობაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული

სკოლის ვებ.გვერდისა და სოციალურ ქსელში სკოლის გვერდის დათვალიერებით დასტურდება, რომ სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სკოლის დირექტორის ბრძანება „ბადიაურის საჯარო სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვის, საეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესისი დამტკიცების შესახებ“*
- *2025-202 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა*
- *დამრიგებლის მუშაობის დებულება/სადამრიგებლო პროგრამები;*
- *მოსწავლეთა ჩარიცხვა-ამორიცხვის, სტატუსის შეჩერების და აღდგენის ბრძანებები*
- *ვებ-გვერდის შესაბამისი გვერდი/სოცალური ქსელი*

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლა დაინტერესებულია ხელი შეუწყოს მოსწავლეთა სკოლაში ადაპტაციას და გააადვილოს სასკოლო პროცესში პირველკლასელთა, მობილობის წესით გადმოსული და ეროვნებით არაქართველი მოსწავლეების ჩართულობა. ამ მიზნით, სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის ადაპტაციის წესი რომელშიც დეტალურად არის აღწერილი წარმატებული ადაპტაციის და ასევე დეზადაპტაციის ნიშნები, დეზადაპტაციის დროს განსახორციელებელი აქტივობები. სკოლის ადაპტაციის მექანიზმი ითვალისწინებს თითოეული მოსწავლის სწავლისთვის მზაობის დადგენას, რაც მოიცავს სამ სფეროს: ფიზიკურს, ფსიქოლოგიურსა და პიროვნულს. სსსმ მოსწავლის სასკოლო გარემოში ადაპტაციის მექანიზმები გაწერილია „სსსმ მოსწავლისათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის“ დოკუმენტში და არის სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილი.

მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სკოლა ახალ მოსწავლეს უწევს დახმარებას სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის მიზნით. აღნიშნულ პროცესს ხელმძღვანელობს კლასის დამრიგებელი, რომელიც ეცნობა მოსწავლის პირად საქმეს, ხვდება მშობელს, აგროვებს ინფორმაციას მოსწავლის მიღწევებსა თუ თავისებურებებზე. დამრიგებელი მუდმივ კომუნიკაციაშია ახალ მოსწავლესა და მის მშობელთან და იგებს მოსწავლის განწყობას სასკოლო ცხოვრების შესახებ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სკოლა ხელს უწყობს პირველკლასში ჩარიცხულ, სხვა სკოლიდან გადმოსულ და არაქართულენოვან მოსწავლეებს გარემოსთან ადაპტაციაში. მოსწავლეებთან მუშაობს კლასის დამრიგებელი, რომელიც მოსწავლეებს აცნობს სკოლის ინფრასტრუქტურას, საგნის მასწავლებლებს, აჩვევს სასწავლო გარემოს, ბავშვებთან ერთად ქმნის ქცევის მარტივ წესებს. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სხვა ეროვნების მოსწავლეთა ადაპტაციას, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ხშირად ბარიერს სახელმწიფო ენის არასრულყოფილად ფლობაც ქმნის.

სსსმ მოსწავლის შემთხვევაში შექმნილია ისგ ჯგუფი, რომელიც მუშაობს მოსწავლეთა ტრანზიციის მიმართულებითაც. ამგვარად, სკოლას აქვს მზაობა, უზრუნველყოს მოსწავლეების უმტკივნეულო ადაპტაციის პროცესის მართვა.

მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ მოსწავლეებს სკოლა ზეპირსიტყვიერად, კლასის კრებაზე აწვდის ინფორმაციას, აკადემიური მოსწრების, ექსტერნის და საშემოდგომო გამოცდის, ნიშნის ასამაღლებელი გამოცდის შესახებ. უწევს კონსულტაციას დავალებაში მოცემულ საკითხებზე, შესრულების მეთოდიკასა და ვადებზე, ასევე, შეფასების რუბრიკების შესახებ. სკოლაში სწავლობენ ეროვნებით აზერბაიჯანელი მოსწავლეები, მათთან მასწავლებლები მუშაობენ დამატებით და უწევენ შესაბამის მხარდაჭერას.მოსწავლეები სარგებლობენ რემედიაციის პროგრამით.

სკოლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმის ანალიზით იკვეთება, რომ სემესტრული ქულის ამაღლების მექანიზმი და საშემოდგომო გამოცდის წესი, სასკოლო სასწავლო გეგმით არ არის დადგენილი ან რეგულირებული. შესაბამისად, **სკოლისგან სათანადო კონსულტაციისა და მხარდაჭერის მიღება მოსწავლისთვის აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესების მიზნით, სკოლის მიერ შესაბამისი მარეგულირებელი დოკუმენტით უზრუნველყოფილი არ არის.**

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა მტკიცებულება (კორექტირებული სასკოლო სასწავლო გეგმა), რომლითაც დასტურდება, რომ ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით

მოსწავლეებთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგად იკვეთება, რომ მასწავლებლებისგან მიღებული აქვთ ინფორმაცია შემაჯამებელი დავალებების რაოდენობის, აღდგენის ვადების, ქულების გასაჩივრების თაობაზე, ასევე, საშემოდგომო გამოცდის დანიშვნა-ჩატარების

ვადების და ექსტერნის ფორმით საგნის/კლასის/სემესტრის დაძლევის შესახებ. თუმცა, **სკოლის მიერ წარმოდგენილი სასწავლო გეგმის ანალიზით იკვეთება, რომ აღნიშნული საკითხები სასკოლო სასწავლო გეგმით არ არის დადგენილი ან დარეგულირებული.** მოსწავლის მობილობის შემთხვევაში სკოლა ღებულობს ზომებს მოსწავლისათვის ადმინისტრაციული მხარდაჭერის თაობაზე.

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა მტკიცებულება (კორექტირებული სასკოლო სასწავლო გეგმა), რომლითაც დასტურდება, რომ ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას.

სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია მოსწავლეთა წახალისების ფორმები. სკოლის მიერ დაგეგმილი საკლუბო და არაფორმალური განათლების ფარგლებში განხორციელებული აქტივობების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია სკოლის გვერდზე სოციალურ ქსელში (facebook) გვერდზე. სკოლაში დასაქმებულია სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირები, რომელთა ჩართულობითაც უზრუნველყოფილია მოსწავლეების დახმარება არაფორმალური აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელებაის მიმართულებით. წახალისებულია მათი ინიციატივა. სკოლაში სამოქალაქო განათლების მასწავლებლის ხელმძღვანელობით შექმნილია კლუბი, რომელმაც განახორციელა სასკოლო პროექტი „ჩემი საოცნებო ბიბლიოთეკა“. სკოლამ მონაწილეობა მიიღო USAID-ის მიერ გამართულ ბიზნესფორუმზე სადაც პროექტის პრეზენტაცია განახორციელა აზერბაიჯანულენოვანმა მოსწავლემ.სკოლაში განხორციელდა პროექტი“ჩემი სოფლის მარგალიტები“, დაამზადეს საინფორმაციო ბანერი და განათავსეს სოფლის შესასვლელში. სკოლაში არსებობს კლუბი „პატარა მეწარმეები“და „მეწარმეობა ლენტებით ქარგვა“. ჩატარდა რეგიონალური ინტეგრირებული გაკვთილი სამეწარმეო კომპეტენციების განვითარებისათვის.

სკოლის მოსწავლეებთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლის ადმინისტრაცია, სასკოლო საზოგადოება მხარს უჭერს და ახალისებს მოსწავლეთა ინიციატივებს. მოსწავლეთა თვითმმართველობის ორგანიზებით სკოლაში განხორციელდა არაერთი პროექტი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას

სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით და სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ მოსწავლეთა უკუკავშირის გათვალისწინებით, სკოლა განსაზღვრავს ინტერვენციებს - სასწავლო წლის ბოლოს ახორციელებს მოსწავლეთა

საჭიროებების დადგენას სპეციალურად შედგენილი მშობელთა და მოსწავლეთა კითხვარების მეშვეობით, რომლის ანალიზის საფუძველზეც, შესაძლებლობის ფარგლებში, იგეგმება ღონისძიებები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *სასკოლო სასწავლო გეგმა;*
- *მოსწავლეთა ადაპტაციის წესი*

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული
დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება
ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების მოსწავლეთათვის ხელმისაწვდომობის მიზნით, სკოლაში მოქმედებს სადამრიგებლო პროგრამა. სადამრიგებლო საათის ფარგლებში პედაგოგები ახორციელებენ აქტივობებს სხვადასხვა პროფესიის პოპულარიზაციის მიზნით. ხშირად იგეგმება მოსწავლეების ვიზიტები თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში, კოლეჯში „აისი“, ღვინის ქარხნებში, ჰიდროელექტროსადგურში. განხორციელდა პროექტი “ახალი ელექტროტექნიკოსები“. სკოლაში მოწვეული იყო 112 -ის წარმომადგენელი, ექიმი და პოლიციელი რომელთაც სკოლის მოსწავლეებს გააცნეს თავიანთი პროფესიები.

სკოლაში მოსწავლეებთან შეხვედრა გამართეს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებმა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლისთვის მნიშვნელოვანი საკითხია კარიერული დაგეგმვის პროგრამის შემუშავება და აღნიშნულ პროცესში მშობელთა ჩართულობა. კარიერული დაგეგმვის მხარდაჭერის სისტემის ფარგლებში კლასის დამრიგებლები და თვითმმართველობის წევრები აქტიურად არიან

ჩართული მოსწავლეთათვის შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნადი პროფესიების შესახებ ინფორმაციის მიწოდებასა და მოსწავლეთა ინტერესების გამოკვეთაში. სკოლაში ხშრად იწვევენ სხვადასხვა პროფესიის ადამიანებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს

სკოლაში კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით განხორციელებული აქტივობები ითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებს. სკოლას აქვს კარგი პრაქტიკა მხარი დაუჭიროს მოსწავლეების მიერ ინიცირებული პროექტებს, მიიღოს მათგან უკუკავშირი და გამოიყენოს მომდევნო წლის აქტივობების დასაგეგმად.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სადამრიგებლო პროგრამა*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა*

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი

სკოლაში შემუშვებული და დირექტორის 2025 წლის 17 ოქტომბტის N2-61 ბრძანებით, დამტკიცებულია სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის დოკუმენტი, რომლითაც განსაზღრულია სპეციალური საჭიროების იდენტიფიცირების, ისგ ჯგუფის შექმნის, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშვების და განხორციელების მონიტორინგის მექანიზმები. სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტაცია, რომლითაც დასტურდება, რომ სსსმ მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშვების მიზნით, დირექტორის ბრძანებით, სკოლაში იქმნება ისგ ჯგუფი, რომლის წევრები არიან კლასის დამრიგებელი, საგნების მასწავლებლები, სკოლაში ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტი/სპეციალისტები, მშობელი. სკოლაში იქმნება ინკლუზიური განათლების განხორციელების

სამოქმედო გეგმა; ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განხორცილების მონიტორინგის მიზნით, დირექტორის ბრძანებით იქმნება ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფი. სკოლაში არის რესურსოთახი რომელიც აღჭურვილია საჭირო ინვენტარით და სასწავლო რესურსებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სკოლა უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლების შესახებ სასკოლო საზოგადოების ინფორმირებულობას და ჩართულობის დონის ზრდას. სსსმ მოსწავლეებისათვის სკოლაში გამოყოფილია რესურს ოთახი შესაბამისი აღჭურვილობით. სკოლას შემუშავებული აქვს ტრანზიციის გეგმა, სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციები და სასწავლო წლის დასაწყისში სკოლის ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი ჯგუფი გეგმავს სხვადასხვა აქტივობებს სსსმ მოსწავლეების ტრანზიციის მიზნით. სსსმ მოსწავლეთა განვითარებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრი: საგნის მასწავლებელი, დამრიგებელი, მშობელი, სპეციალური მასწავლებელი. სასწავლო წლის დასაწყისში ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი გუნდი აწყობს შეხვედრას მასწავლებლებთან ხდება წლის დასაწყისში განსახორციელებელი სამუშაო გეგმის განხილვა. ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, სადაც გათვალისწინებულაი თითოეული მოსწავლის საჭიროება და შესაძლებლობები. სკოლაში შექმნილია ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც ახდენს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განხორციელების მონიტორინგს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სსიპ - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბადიაურის საჯარო სკოლის სსიმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის დოკუმენტი*
- *ისგ ფორმა;*
- *მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა;*
- *ინკლუზიური განათლების პროგრამა;*
- *სსსმ მოსწავლის ინდ.გეგმები;*
- ინტერვენციის გეგმა

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. *აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს დამატებით საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურეობებს სხვადასხვა წრეებისა თუ კლუბების სახით. სკოლაში ფუნქციონირებს კლუბი "პატარა მეწარმეები", ეკო-კლუბი, კლუბი „ ლოტუსი-მეწარმეობა ლენტებით ქარგვა", სამოქალაქო განათლების კლუბი.

უზრუნველყოფილია სკოლაში მოსწავლეთა ტრანსპორტირება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას.**

სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს კლუბურ მუშაობას სხვადასხვა ასაკის გათვალისწინებით. როგორც სკოლის წარმომადგენლებმა და მშობლებმა ესპერტებთან გასაუბრებისას აღნიშნეს, სასკოლო ცხოვრებაში დაწესებულება აქტიურად იყენებს კითხვარებს სხვადასხვა მიმართულებით და მათ შორის მოსწავლეთა ინტერესების განსაზღრისთვის. მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუზველზე, ხდება კლუბების შეთავაზება. კლუბებში ჩართულობა ნებაყოფლობითია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

სკოლის ტერიტორიაზე ქცევის წესები რეგულირდება შინაგანაწესით, უსაფრთხოების ნორმები რეგულირდება მშობელთან და მასწავლებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებით, რომელშიც გაწერილია სკოლის ვალდებულებები გააკონტროლოს და დაიცვას მოსწავლის უსაფრთხოება სასწავლო პროცესის განმავლობაში, ხოლო სკოლა უზრუნველყოს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს. შრომითი ხელშეკრულებით გაწერილია დასაქმებულის ვალდებულება, დაიცვას უსაფრთხოების წესები. დამატებით სერვისებთან მიმართებაში (მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამას ანხორციელებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო) განხორციელებული მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება;*
- *2025-2026 სასწავლი წლის სასკოლო გეგმა;*
- *შინაგანაწესი;*
- *პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები;*
- *კითხვარები;*

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....
.....
.....
.....

თარიღი 05.12.2025

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: